საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

საქართველოს სახელმწიფო ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

1927 წ.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა

1927 წ. აგვისტოს 6 № 5 ნაწილი პირველი

შ ი ნ ა ა რ ს ი:

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

74. დადგენილება № 45 ც. ა. კ.—სათემო საბჭოების მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული გადასახდელის დადების წესის დებულების მე-12 და 15 მუხლის შეცვლისა და ამავე დებულებისათვის მე-15-[1] მუხლის დამატების შესახებ.

75. დადგენილება № 46 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—ადგილობრივი მრეწველობის მშენებლობაში გეგმიანობის შეტანის შესახებ.

76. დადგენილება № 47 ც. ა.კ. და ს. კ. ს.—საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსისათვის 169[1] მუხ. დამატების შესახებ.

77. დადგენილება № 48 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 27, 72, 90, 103, 105 მუხ., 130 მუხ. 1 შენიშვნისა, 138, 153, 182[1], 185, 265, 265 მუხ. 1 შენიშვნისა, 266, 297, 421, 424 და 425 მუხ. შეცვლის შესახებ.

78. დადგენილება № 49 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის შევსების შესახებ.

79. დადგენილება № 50 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—სამედიცინო დარგის მომუშავეთა პროფესიონალური მუშაობისა და უფლება-მოვალეობათა შესახებ.

80. დადგენილება № 51 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—სამხედრო ტრიბუნალებისა და სამხედრო პროკურატურის დებულების სამოქმედოდ შემოღების გამო სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

სახალხო კომასართა საბჭოს დადგენილებანი

81. დადგენილება ს. კ. ს.—საბაჟო დაწესებულების მიერ დადებული ჯარიმის გადაუხდელობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

82. დადგენილება ს. კ. ს.—სისხლის სამართლის საქმეთა მაძიებელი მილიციის თანამშრომელთათვის ბოროტ-მოქმედებით მოპოვებული ქონების აღმოჩენისათვის ჯილდოს დაწესების თაობაზე 1923 წ. მაისის 15-ს თარიღით და 95 №-ით გამოცემული დადგენილების გაუქმების შასახებ.

83. დადგენილება ს. კ. ს.—იმ წესების დამტკიცების შესახებ, რომლითაც მილიციის ორგანოები მოვალენი არიან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში დამხარება გაუწიონ საგადასახადო გარე-ზედამხედველობის ორგანოთ ვაჭრობისა და რეწაობის სახელმწიფო სარეწავი გადასახადით დაბეგვრის შემოწმების დროს.

წესები მილიციის ორგანოების მოვალეობის შესახებ დახმარება გაუწიონ საქართველოს ს. ს. რ-ში საგადასახადო გარე-ზედამხედველობის ორგანოთ ვაჭრობისა და რეწაობის სახელმწიფო გადასახადით დაბეგვრის შემოწმების დროს.

84. დადგენილება ს. კ. ს.—[ტირიფონის სარწყავი არხის გაყვანის სამუშაოთა მდგომარეობის გამოსარკვევად კომისიის დანიშვნის შესახებ].

85. დადგენილება ს. კ. ს.—საბუხჰალტერო და ანგარიშწარმოების კურსების დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საბუხჰალტერო და ანგარიშწარმოების კურსების შესახებ.

86. დადგენილება ს. კ. ს.—საქართველოს ს. ს. რ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის გამომცემლობის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის გამომცემლობის შესახებ.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

74. დადგენილება № 45 ც. ა. კ.

სათემო საბჭოების მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული გადასახდელის დადების წესის დებულების მე-12 და 15 მუხლის შეცვლისა და ამავე დებულებისათვის მე-15[1] მუხლის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

I.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1926 წ. ივნისის 22-ს თარიღისა და 43 ნომრის დადგენილებით დამტკიცებული—სათემო საბჭოების მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული გადასხდელის დადების წესის დებულების (კან. კრ. 1926 წ. მე-3 ნომრით, მუხ. 71) მე-12 და 15 მუხლი შეცვლილ იქნეს შემდეგნაირად:

მუხ. 12. იმ პირს, ვისაც ადმინისტრატიული გადასახდელი დაედო, უფლება აქვს სთხოვოს სათემო აღმასრულებელ კომიტეტს გადასინჯოს მის წინააღმდეგ გამოტანილი დადგენილება, ან განასაჩივროს ეს დადგენილება სათანადო მაზრის აღმასრულებელ კომიტეტში, შვიდი დღის ვადაზე დღიდან დადგენილების გამოცხადებისა. საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს თემის აღმასრულებელ კომიტეტში, რომელიც მოვალეა სამი დღის განმავლობაში გაუგზავნოს იგი საქმითურთ მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს. თხოვნისა და საჩივრის შეტანა შეაჩერებს დადგენილების აღსრულებას.

მუხ. 15. წინა მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში სათემო აღმასრულებელმა კომიტეტმა უნდა დაიცვას ყველა ის პირობა ადმინისტრატიული გადასახდელის გადაწყვეტისათვის, რაც ამა დებულებაშია აღნიშნული.

II.

ზემოაღნიშნულ დებულებას დაემატოს მე-15[1] მუხ. შემდეგი შინაარსისა:

მუხ. 15[1]. დადგენილება ადმინისტრატიული გადასახდელის დადების შესახებ აღსრულებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს ერთი წლისა მისი კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან. უკეთუ აღნიშნულ ვადაზე დადგენილება არ იქნება აღსრულებული, იგი ძალასა ჰკარგავს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. **კ. ხომერიკი.**

სრულიდ საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **შ. მათიკაშვილი.**

1927 წ. მაისის 3.

ტფილისი—სასახლე

---

75. დადგენილება № 46 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

ადგილობრივი მრეწველობის მშენებლობაში გეგმიანობის შეტანის შესახებ.

ადგილობრივი მრეწველობის მშენებლობაში გეგმიანობის განსამტკიცებლად, განსავითარებლად და მოსაწესრიგებლად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭრესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. დაევალოს აფხაზეთის სსრ და აჭარისტანის ავტონომიური სსრ სახალხო კომისართა საბჭოებსა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს დააკისრონ სახალხო მეურნეობის სათანადო ორგანოებს წინასწარ შეუთანხმონ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ყოველი საკითხი ახალი სამრეწველო საწარმოს მშენებლობისა, უკვე არსებულის გაფართოებისა და აგრეთვე მისი შეძენისა სახელმწიფო კოოპერატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებათა და კერძო პირთაგან.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სამაზრო აღსასრულებელ კომიტეტებს და მათი ადგილობრივი მეურნეობის ორგანოებს წინასწარ შეუთანხმონ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ყოველი საკითხი ახალი სამრეწველო საწარმოს მშენებლობისა, არსებულის გაფართოებისა და აგრეთვე მათი შეძენისა სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებათა და კერძო პირთაგან.

3. ყოველი საკითხი, რაც კი დაკავშირებულ იქნება როგორც ადგილობრივ მრეწველობის უკვე არსებული საწარმოს ფინანსიურად მოგვარებასთან, ისე ახალის აშენებასა და შეძენასთან, გატარებულ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში, რისთვისაც ამ უკანასკნელს წარედგინება დაწვრილებით შემუშავებული ხარჯთ-აღრიცხვა, საწარმოო და საფინანსო გეგმები განმარტებითი წერილის თანდართვით.

4. აფხაზეთის სსრ, აჭარისტანის ავტონომიური სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო მეურნეობის ორგანოებმა, აგრეთვე საქართველოს სსრ ყველა სამაზრო აღმასრულებელმა კომიტეტმა ყოველწლივ უნდა წარუდგინონ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად თვითოეული ცალკე საწარმოს საწარმოო პროგრამა ორი თვით ადრე მაინც საოპერაციო წლის დაწყებამდე, და აგრეთვე გასული საოპერაციო წლის ანგარიში — არა უგვიანეს ყოველი წლის დეკემბრის 1-ისა.

5. ამასთანავე აფხაზეთის სსრ, აჭარისტანის ავტონომიური სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო მეურნეობის ორგანოებმა და აგრეთვე საქართველოს სსრ ყველა სამაზრო აღმასრულებელმა კომიტეტმა მათ გამგებლობაში მყოფი ყოველი სამრეწველო საწარმო უნდა ჩამოაყალიბონ ოთხი თვის ვადაზე ცალკე იურიდიულ პირად სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ — ადგილობრივი ორგანოების გამგებლობაში მყოფი, კომერციული ანგარიშის პრინციპზე მომქმედ სახელმწიფო სამრეწველო საწარმოთა შესახებ — 1923 წლის ივლისის 17-ს თარიღით გამოცემული დეკრეტის საფუძველზე (სსრკ ცაკისა, სახკომსაბჭოს და შრ. და თავდაც. საბჭოს „ვესტნიკის“ 1923 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 29).

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. **კ. ხომერიკი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მაგ. **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **შ. მათიკაშვილი.**

1927 წ. მაისის 3.

ტფილისი — სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 110-№-ში 1927 წ. მაისის 18.

ეროვნული ბიბლიოთეკა

76. დეკრეტი 47 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსისათვის 169¹-მუხ. დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 169¹ მუხ. შემდეგი შინაარსისა:

169¹. ბოროტი განზრახვით თავის არიდება სასამართლოს მიერ შვილების შესანახად გადაწყვეტილი თანხის გადახდისაგან იმისდა მიუხედავად, რომ გადამხდელს ამის შესაძლებლობა აქვს, გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას ექვს თვემდე ან ჯარიმას სამას მინეთამდე.

მშობლების მიერ თავისი მცირეწლოვანი შვილების სრულიად უმწეოდ დატოვება, აგრეთვე შვილების იძულება მათხოვრობისათვის გამოიწვევს სოციალური დაცვის იმავე ღონისძიებას.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **შ. მათიკაშვილი**

1927 წ. მაისის 20.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 128 №-ში 1927 წ. ივნისის 8.

---

77. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 48 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 27, 72, 90, 103, 105 მუხ., 130 მუხ. 1 შენიშვნისა, 138, 153, 182-¹, 185, 265, 265 მუხ. 1 შენიშვნისა, 266, 297, 421, 424 და 425 მუხ. შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე 2 სესიის 1924 წ. მარტის 10 თარიღისა და 77 ნომრის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის 27, 72, 90, 103, 105 მუხ., 130 მუხ. 1 შენიშვნისა, 138, 153, 182-[1], 185, 265 მუხ., 265 მუხ. 1 შენიშვნისა, 266, 297, 421, 424 და 425 მუხ. რედაქცია შეიცვალოს შემდეგნაირად.

მუხ. 27. გარიგების დადება შეიძლება სიტყვიერად და წერილობით. წერილობითი გარიგება შეიძლება იყოს: 1) მარტივი და 2) სანოტარო წესით დამოწმებული.

მუხ. 72. აღნაგობის უფლების ხელშეკრულება ბათილობის რიდით სანოტორო წესით უნდა იქნეს დამოწმებული.

მუხ. 90. გირავნობის ხელშეკრულება წერილობითი უნდა იყოს.

შენობის და აღნაგობის უფლების დაგირავება, ბათილობის რიდით, დამოწმებულ უნდა იქნეს სანოტარო წესით, შემდგომი რეგისტრაციით ოლქის სასამართლოს სანატორო განყოფილებაში. გირავნობის აქტის შინაარს სანატორო განყოფილება აცნობებს სათანადო კომუნალურ განყოფილებას. მოგირავნეს მიეცემა გირავნობის სიგელი.

შენიშვნა 1. სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოსთან, აგრეთვე შრომის არტელსა და კოოპერატივთან დადებული ყოველგვარი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად დამგირავებელს შეუძლიან ამ დაწესებულებასა და საწარმოს, გირავნობის აქტის მაგიერ, წარუდგინოს გირავნობის მოწმობა.

შენიშვნა 2. საბჭ. სოც. რესპ. კავშირის ბაირაღით მცურავი ზღვის სავაჭრო ნავჭურჭლის დაგირავების წესი ცალკეა განსაზღვრული (სსრკ კან. კრ. 1924 წ. მე-4 №-რი, მუხ. 54).

მუხ. 103 გირაოთი უზრუნველყოფილი მოთხოვნის გადაცემასთან ერთად ახალ კრედიტორზე გადადის გირავნობის უფლებაც. აღნაგობის უფლების ან შენობის დაგირავებით უზრუნველყოფილი მოთხოვნის გადაცემა მოხდება გირავნობის აქტის გადაცემით, რასაც უნდა ჰქონდეს სანოტარო წესით დამოწმებული გადაცემის წარწერა და რაც უნდა ჩაიწეროს კომუნალური განყოფილების რეესტრში. ყველა სხვა შემთხვევაში მოთხოვნა გადაიცემა გირავნობის ხელშეკრულებაზე წარწერით და აგრეთვე დაგირავებული ქონების გადაცემით, როდესაც ასეთი გადაცემა საჭიროა გირავნობის უფლების წარმოშობისათვის (მუხ. 92, 93).

გირავნობის უფლების გადაცემა უნდა ეცნობოს მოვალეს, ხოლო უკეთუ მოვალე და დამგირავებელი ერთი და იგივე პირი არ არის—დამგირავებელსაც.

მუხ. 105. შენობისა და აღნაგობის უფლების გირავნობის მოსპობა, დაინტერესებული პირის მოთხოვნით, აღინიშნება სანოტარო კანტორაში დასატოვებელ გარიგების ძარითად ცალზე და კომუნალური განყოფილების რეესტრში.

უკეთუ გირავნობა მოისპობა გირაოთი უზრუნველყოფილი მოთხოვნის მოსპობის გამო, მოგირავნემ მისთვის გადაცემული დაგირავებული ქონება უნდა დაუბრუნოს დამგირავებელს ან და გადასცეს შემდგომ მოგირავნეს პირველობის მიხედვით (მუხ. 94).

ეროვნული ბიბლიოთეკა

130 მუხლის 1 შენიშვნა. როდესაც კანონით სავალდებულოა ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმება, ხელშეკრულება, უკეთუ კანონით სხვა რამ არ არის დაწესებული, დადებულად ჩაითვლება მისი სანოტარო წესით დამოწმების დროიდან.

მუხ. 138. ათას მანეთზე მეტი თანხის ქონების უსასყიდლოდ დათმობის ხელშეკრულება (გაჩუქება), ბათილობის რიდით, სანოტარო წესით უნდა იქნეს დამოწმებული.

მუხ. 153. სახელმწიფო ან კომუნალური საწარმოს დაქირავების ხელშეკრულება, ბათილობის რიდით, სანოტარო წესით უნდა იქნეს დამოწმებული.

ყოველგვარი ქონების ერთ წელზე მეტი ვადით დაქირავების ხელშეკრულება წერილობითი უნდა იყოს იმ შედეგის რიდით, რაც აღნიშნულია 136 მუხლის შენიშვნაში.

სახელმწიფო და კომუნალური საწარმოს დაქირავების ხელშეკრულებას, ბათილობის რიდით, უნდა დაერთოს დაქირავებული ქონების დაწვრილებითი აღწერილობა.

მუხ. 182[1]. წინასწარი სანასყიდო სიგელის, ე. ი. წინასწარი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მომავალში შენობის ნასყიდობის გარიგება უნდა დაიდოს, ბათილობის რიდით, სანოტარო წესით უნდა იქნეს დამოწმებული. არა უგვიანეს 6 თვისა წინასწარი სანასყიდო სიგელის დაწერიდან უნდა დაიდოს შენობის ნასყიდობის ხელშეკრულება ან ერთმა მხარემ უნდა აღძრას მეორე მხარის მიმართ სარჩელი ნასყიდობის გარიგების დადების შესახებ; წინაალმდეგ შემთხვევაში წინასწარი სანასყიდო სიგელის მოქმედება მოისპობა.

მუხ. 185. შენობისა და აღნაგობის უფლების ნასყიდობა, ბათილობის რიდით, სანოტარო წესით უნდა იქნეს დამოწმებული და შემდეგ მას აუცილებლად რეგისტრაცია უნდა გაუკეთდეს ოლქის სასამართლოს სანოტარო განყოფილებაში. ამ აქტების შინაარს ოლქის სასამართლოს სანოტარო განყოფილება აცნობებს სათანადო კომუნალურ განყოფილებას.

მუხ. 265. უკეთუ მოქმედება შესრულებულ უნდა იქნეს მთავრობის ორგანოს ან თანამდებობის პირის მიმართ, რწმუნებულება, ბათილობის რიდით, სანოტარო წესით უნდა იქნეს დამოწმებული, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც, განსაკუთრებული წესების თანახმად, რწმუნებულება შეიძლება სხვა ფორმისა იყოს.

შენიშვნა 1. რწმუნებულება ფულისა, ამანათისა და, საერთოდ, ყოველგვარი საფოსტო კორესპონდენციის მიღებისათვის შეიძლება დაამოწმოს, სანოტარო ორგანოს გარდა, სახალხო მოსამართლემ, მილიციამ, თემის აღმასრულებელმა კომიტეტმა და სასოფლო საბჭომ, აგრეთვე იმ სახელმწიფო და საზოგადოებრივმა დაწესებულებამ თუ საწარმომ და სამხედრო ერთეულმა, სადაც საფოსტო კორესპონდენციის მიმღები მსახურობს.

მუხ. 266. რწმუნებულება ქონების გამგებლობისათვის, ბათილობის რიდით, სანოტარო წესით უნდა იქნეს დამოწმებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხ. 297. სრული ამხანაგობის ხელშეკრულება, ბათილობის რიდით, წერილობით უნდა დაიდოს და სანოტარო წესით იქნეს დამოწმებული.

მუხ. 421. ანდერძათ ჩაითვლება სიკვდილის საშემთხვეოდ გაცემული წერილობითი განკარგულება, რომ ქონება მიეცეს 418 მუხლში აღნიშნულთა შორის ერთს ან რამდენსამე განსაზღვრულ პირს, ან განაწილებულ იქნეს იგი რამდენსამე ან ყველა ამ პირს შორის სხვა რამ წესით, ვიდრე ეს გათვალისწინებულია 420 მუხლში.

შენიშვნა 1. მოანდერძეს შეუძლიან თავისი ქონების კანონით დამკვიდრების უფლება მოუსპოს 418 მუხლში აღნიშნულ პირთა შორის ერთს, რამდენსამეს ან ყველას. პირველ ორ შემთხვევაში იმათი წილი, ვისაც დამკვიდრების უფლება მოესპო, განაწილდება დანარჩენ პირთა შორის, ხოლო უკანასკნელ შემთხვევაში სამკვიდრო ქონება სახელმწიფოს ხელში გადავა.

შენიშვნა 2. მოანდერძეს უფლება აქვს დაუტოოს ქონება ან ამ ქონების ნაწილი კულტურულ, განმანათლებელ ან სხვა რამ, კანონის არასაწინააღმდეგო, საზოგადოებრივ თუ სახელმწიფო დაწესებულებას.

მუხ. 424. ანდერძი ხელმოწერილი უნდა იყოს მოანდერძის მიერ და, ბათილობის რიდით, წარედგინოს სახალხო ნოტარიუსს სანოტარო წესით დასამოწმებლად, ხოლო იქ, სადაც ნოტარიუსი არ არის, სახალხო მოსამართლეს, იქ კი, სადაც მოსამართლეც ან იქნება, ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს.

უკეთუ მოანდერძემ წერა არ იცის ან მას არ შეუძლიან ხელის მოწერა (ხელის ტკივილისა ან სხვა რამ მიზეზის გამო), მის მაგიერ, მისივე თხოვნით და იმ ორგანოს თანადასწრებით, რომელმაც ანდერძი უნდა დაამოწმოს, ანდერძს ხელს მოაწერს სხვა პირი.

ანდერძის ერთი ცალი ინახება იმ ორგანოსთან, რომელიც მას დაამოწმებს.

მუხ. 425. შემდეგში შედგენილი ანდერძით გაუქმდება წინად შედგენილი ანდერძი იმდენად, რამდენადაც წინანდელი ანდერძი არ შეიცავს ისეთს რამ განკარგულებას, რაც გათვალისწინებულ არ არის მერმინდელ ანდერძში. მოანდერძეს შეუძლიან წინანდელი ანდერძი გააუქმოს ახალი ანდერძის შეუდგენლადაც, ხოლო საამისოდ მან განსაკუთრებული განცხადება უნდა შეიტანოს ერთ-ერთ იმ ორგანოში, რომელიც აღნიშნულია 424 მუხლში.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **შ. მათიკაშვილი.**

1927 წ. მაისის 20.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 128 №-ში 1927 წ. ივნისის 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

78. დადგენილება № 49 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის შევსების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77-№-ის დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I. სამოქალაქო სამართლის კოდექსს დაემატოს 68[1], 68[2], 68[3], 68[4], 68[5] და 68[6] მუხ. შემდეგი შინაარსისა:

68[1]. ის, ვინც დაკარგულ ნივთს იპოვნის, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ეს, სათანადო ხელწერილის ჩამორთმევით, ნივთის დამკარგველს ან გამოუცხადოს და ჩააბაროს ნაპოვნი ნივთი მილიციას, თემის აღმასრულებელ კომიტეტს ან და სოფლის საბჭოს, რომლებიც, თავისი მხრით, მოვალენი არიან იმავე დღესვე გამოაკრან თავ-თავის სადგომებში განცხადება ნივთის პოვნის შესახებ.

68[2]. უკეთუ აღნიშნული ნივთის დამკარგველი 6 თვის განმავლობაში გამოცხადდება ან გამოირკვევა მისი ვინაობა, მას დაკარგული ნივთი დაებრუნება, ხოლო ამასთანავე იგი ვალდებულია აუნაზღაუროს ნივთის შემნახველს ყველა ის ხარჯი, რაც კი მან ნივთის შენახვაზე გასწია და, გარდა ამისა, გადუხადოს მპოვნელს ნივთის საბაზრო ფასის 20%. უკეთუ ეს ნივთი ბაზარზე არ ფასობს, მპოვნელის ჯილდოს განსაზღვრავს სასამართლო.

შენიშვნა. ისეთი ნივთის მპოვნელს, რაც სახელმწიფოს ეკუთვნის, ამა მუხლით გათვალისწინებული ჯილდო არ მიეცემა.

68[3]. ცალკე შემთხვევაში, ნივთის დამკარგველისა და მპოვნელის ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით, სასამართლოს შეუძლიან შეამციროს 68[2] მუხ. გათვალისწინებული ჯილდო ან და სრულიად გაანთავისუფლოს ნივთის დამკარგველი ამ ჯილდოს გადახდისაგან.

68[4]. უკეთუ ნივთის დამკარგველი არ გამოცხადდება ან მისი ვინაობა ვერ გამოირკვა 6 თვის განმავლობაში, ნაპოვნი ნივთი, სამოქ. სამ. კოდ. 68 მუხლის თანახმად, გადადის სახელმწიფო საკუთრებად. ამ შემთხვევაში ნივთის მპოვნელს ჯილდო მიეცემა ამა დადგენილების 68[2] მუხ. განსაზღვრული რაოდენობით.

შენიშვნა. სახელმწიფოს საკუთრებად გადასული დაკარგული ნივთის რეალიზაცია მოხდება იმ წესით, რაც სსრკ სახ. კომ. საბჭ. 1925 წ. სექტემბრის 22-ს დადგენილებით შემოღებულია კონფისკაციაქმნილი ნივთების გამოყენებისათვის (სსრკ კან. კრ. 1925 წლ. 71 №-რი, მუხ. 526).

68[5]. ამა დადგენილების 68[2] და 68[4] მუხ. აღნიშნული ექვსთვიანი ვადა იანგარიშება დღიდან დამკარგველისათვის ხელწერილის ჩამორთმევისა ან ნივთის პოვნის შესახებ მილიციაში, თემის აღმასრულებელ კომიტეტში ან და სოფლის საბჭოში განცხადების შეტანისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

68[6]. წინა (68[1]—68[5]) მუხლებში გათვალისწინებული წესი არ გავრცელდება იმ ნივთზე, რაც ნაპოვნი იქნება დაწესებულებასა და საწარმოში, საერთო სარგებლობის სადგომში, რკინის გზების მოძრავ შედგენილობაში, გემზე და სხვ. ამ შემთხვევაში ნივთის მპოვნელს არავითარი ჯილდო არ მიეცემა, ხოლო ნაპოვნი ნივთი გადაეცემა სათანადო დაწესებულებას ან საწარმოს ადმინისტრაციას იმ განსაკუთრებული წესების მიხედვით, რაც გამოცემულ იქნება სათანადო უწყებისა და დაწესებულების მიერ.

II. სამოქ. სამ. კოდექსის 251 მუხლს დაემატოს შენიშვნა—შემდეგი შინაარსისა:

შენიშვნა. მინდობილობის ხელშეკრულებით რწმუნებულად შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი, ამასთან ამ უკანასკნელს შეუძლიან მიიღოს მინდობილობა მხოლოდ ისეთი მოქმედების შესრულებისათვის, რაც არ სცილდება სათანადო წესდებით, დებულებით ან და საამხანაგო ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფარგალს მისი მოქმედებისას.

III. სამოქ. სამ. კოდექსის 260 მუხლის „დ“ პუნქტის რედაქცია შეიცვალოს შემდეგნაირად:

დ) რწმუნებულის სიკვდილის გამო ან მის მიერ ქმედობაუნარიანობის დაკარგვის გამო ან და იმ იურიდიული პირის არსებობის მოსპობის გამო, ვის სახელზედაც გაცემული იყო რწმუნებულება

IV. სამოქ. სამ. კოდ. 404 მუხლის შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

შენიშვნა. საჩრებლის ხანდაზმულობა სახელმწიფო ორგანოსადმი წარსადგენი, ამა მუხლზე დამყარებული მოთხოვნისათვის განისაზღვრება ორი წლით და იანგარიშება დღიდან ზიანის მიყენებისა.

აღნიშნული ხანდაზმულობის ვადის დენა, გარდა იმ საერთო საფუძვლებისა, რაც ხანდაზმულობის ვადის შეჩერებისა და განგრძობისათვის არის დაწესებული (48 და 49 მუხ.), შეჩერდება აგრეთვე იმ დღიდან, როდესაც დაზარალებულმა ან (უკეთუ იგი გარდაიცვალა) მის რჩენაზე მყოფმა პირმა მიმართა სოციალური უზრუნველყოფის სათანადო ორგანოს, იმ დღემდე, ვიდრე მას არ დაენიშნება პენსია ან უარი არ ეთქმის პენსიის დანიშვნაზე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **შ. მათიკაშვილი.**

1927 წ. მაისის 20.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

79. დადგენილება № 50 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სამედიცინო დარგის მომუშავეთა პროფესიონალურ მუშაობისა და უფლება მოვალეობათა შესახებ.

1. საქართველოს სსრ-ში სამედიცინო და საფარმაცევტო მუშაობის უფლება თავის სპეციალობის ფარგლებში, თანახმად ამა დადგენილებისა, აქვთ შემდეგი წოდების პირთ: 1) ექიმსა, 2) კბილის ექიმსა, 3) ექიმის თანაშემწესა, 4) ბებია-ქალსა, 5) ფარმაცევტსა და 6) სამედიცინო დას.

შენიშვნა. იმ კატეგორიის სამედიცინო მომუშავეთა პროფესიონალური მუშაობისა და უფლებების საკითხი, რომელნიც ამა დადგენილებით გათვალისწინებულ არ არიან, მოწესრიგდება ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ პროფკავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით გამოცემული განსაკუთრებული ინსტრუქციებით.

2. ყველა ის სამედიცინო ან საფარმაციო დარგის მომუშავე, რომელსაც სურს იმუშაოს სამედიცინო ან საფარმაციო დარგში, ვალდებულია, თავისი ბინადრობის ადგილის მიხედვით, მიმართოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის განყოფილებას ან აჭარისტანის ავტონომიური სსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ჯანმრთელობის სახ. კომისარიატებს, წარუდგინოს მათ მისი წოდების დამამტკიცებელი წერილობითი საბუთები და მიიღოს მათგან სარეგისტრაციო მოწმობა.

სამედიცინო დარგის მომუშავეთა რეგისტრაცია მოხდება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის მიერ გამოცემული ინსტრუქციების თანახმად.

3. სამედიცინო წოდების უფლების დამამტკიცებელ საბუთად ჩაითვლება:

ა) სამედიცინო სასწავლებლის დიპლომი ან მოწმობა, ან სათანადოდ დამოწმებული ასლი ამ დიპლომისა და მოწმობისა;

ბ) ნამსახურობის სია—სამედიცინო წოდების, მისი მიღების დროისა და ადგილის აღნიშვნით, ან სათანადოდ დამოწმებული ასლი ამ სიისა;

გ) სამედიცინო დარგის ამა თუ იმ მომუშავის აღნიშვნა საქართველოს და სსრკ-ის ექიმებთა ოფიციალურ ცნობარში და აგრეთვე მთავარ საექიმო ინსპექტორის სამმართველოს მიერ 1916 წლამდე გამოცემულ რუსეთის სამედიცინო სიაში.

4. უკეთუ სამედიცინო დარგის მომუშავეს არ აღმოაჩნდა არც ერთი ზემოაღნიშნული დოკუმენტი ან უკეთუ დოკუმენტი ეჭვს იწვევს, მე-2 მუხ. აღნიშნული დაწესებულებანი დაუნიშნავენ მას ვადას სხვა სარწმუნო დოკუმენტების წარსადგენად. ხოლო, ვინიცობაა ეს დოკუმენტები დანიშნულ ვადაზე წარდგენილი არ იქნა, საკითხი იმ კატეგორიის სამედიცინო მომუშავისათვის წოდების მინიჭების შესახებ, რომლის კვალიფაკაციასაც უმაღლესი სასწავლებელი აწესებს, გადაეცემა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს; ეს უკანასკნელი აღნიშნული საკითხის გამოსარკვევად შესაფერი შეკითხვით მიმართავს სსრკ-ის ან უცხოეთის სათანადო უმაღლეს სასწავლებელს; ხოლო დანა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რჩენი კატეგორიის სამედიცინო დარგის მომუშავეების საკითხს გადასწყვეტს ჯანმრთელობის სათანადო სახალხო კომისარიატი, მის მიერ საამისოდ გამოცემული ინსტრუქციის მიხედვით.

5. სამედიცინო დარგის ყველა მომუშავემ, ვინც-კი კერძო პრაქტიკას ეწევა, უნდა შეავსოს თითოეულ ავადმყოფზე, რომელსაც იგი მკურნალობს, სანიტარული ბარათი, თანახმად ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ინსტრუქციისა.

6. სამედიცინო დარგის ყოველი მომუშავე მოვალეა ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა სასწრაფო სამკურნალო დახმარების აღმოჩენა, აღმოუჩინოს ამა თუ იმ პირს ეს დახმარება, თანახმად ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ, შინაგან საქმეთა და შრომის სახალხო კომისარიატებთან და პროფესიონალურ კავშირების საბჭოსთან შეთანხმებით, გამოცემული ინსტრუქციისა.

7. სამედიცინო დარგის ყოველი მომუშავე მოვალეა არა უგვიანეს 24 საათისა, აცნობოს ჯანმრთელობის უახლოეს განყოფილებას მის პრაქტიკაში გავლილი ყოველი შემთხვევა სწრაფად-გადამდები ავადმყოფობისა, მოწამლვისა, მკვლელობისა, სხეულის მძიმე დაშავებისა ან თვითმკვლელობისა; ამასთანავე სხეულის დაშავება ყველა შემთხვევაში უნდა აღიწეროს რაც შეიძლება სრულად და სისწორით.

8. სამედიცინო დარგის სათანადო კატეგორიის მომუშავეს უფლება აქვს გასცეს შესაფერი მოწმობა იმ საფუძველზე და იმ ფარგლებში, რაც აღნიშნულია ამა დადგენილების მე-19, 23, 25 და 31 მუხლში.

სამედიცინო დარგის მომუშავის მიერ გაცემულ მოწმობაში უნდა აღინიშნოს მოწმობის გაცემის დრო, ადგილი და მიზანი.

მოწმობას ხელს მოაწერს მოწმობის გამცემი თავისი სრული წოდების აღნიშვნით და სახელობითი ბეჭდის დასმით. უკეთუ ბეჭედი არ აქვს, მის ხელმონაწერს დაამოწმებს სათანადო დაწესებულება.

შენიშვნა. მოწმობის გაცემის წესი და პირობები განისაზღვრება ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის მიერ, იუსტიციის სახ. კომისარიატთან შეთანხმებით, გამოცემული განსაკუთრებული ინსტრუქციით.

9. სამედიცინო დარგის მომუშავემ მის მიერ გამოწერილ რეცეპტს, უკეთუ მას საამისო უფლება აქვს, უნდა მოაწეროს თავისი გვარი და აღნიშნოს თავისი წოდება.

10. სამედიცინო დარგის მომუშავეს გამონაკიდ პლაკატზე, აგრეთვე განცხადებაში და პუბლიკაციაში შეუძლიან აღნიშნოს მხოლოდ თავისი წოდება, გვარი, სახელი და მამის სახელი, სპეციალობა, ავადმყოფების მიღების ადგილი და დრო.

11. პროფესიონალურ მოვალეობათა დარღვევისათვის სამედიცინო დარგის მომუშავეს სოციალური დაცვის ღონისძიება დაენიშნება სასამართლოს განაჩენით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. სახელმწიფო სამსახურში მყოფ სამედიცინო დარგის მომუშავე, რომელსაც განსაკუთრებულ მძიმე პირობებში უხდება მუშაობა გადამდები სენის (ეპიდემიის) წინააღმდეგ, და აგრეთვე მისი ოჯახი, უკეთუ იგი მომუშავე მუშაობის გამო ავად გახდება, დაჰკარგავს შრომის უნარს ან გარდაიცვლება გადამდები სენისაგან, უზრუნველყოფილ იქნებიან სახელმწიფოს მიერ იმ განსაკუთრებულ საფუძველთა მიხედვით, რასაც დაადგენს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი, სოციალური უზრუნველყოფისა და შრომის სახ. კომისარიატებთან და საქართველოს პროფ. კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით, და დაამტკიცებს სახალხო კომისართა საბჭო.

13. ექიმის წოდებისა და საექიმო მუშაობის უფლება აქვს:

ა) იმ ექიმს, რომელმაც დაამთავრა უმაღლესი სამედიცინო სასწავლებელი და მიიღო ექიმის წოდების დიპლომი, ბ) იმ ექიმს, რომელმაც დაამთავრა უნივერსიტეტი საზღვარგარეთ, მიიღო იქ მედიცინის დოქტორის წოდების დიპლომი და ჩააბარა სათანადო გამოცდები ს. ს. რ. კ.-ის ერთ-ერთ უნივერსიტეტსა ან უმაღლეს საექიმო სკოლაში.

შენიშვნა. საქართველოს ს. ს. რ. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატს შეუძლიან, განათლების სახ.კომისარიტთან შეთანხმებით, გაანთავისუფლოს გამოცდებისაგან ის ექიმი, რომელმაც დაამთავრა საზღვარგარეთ უმაღლესი საექიმო სასწავლებელი და სამეცნიერო ან პრაქტიკული სტაჟი აქვს.

14. იმ პირს, ვისაც ექიმის წოდება აქვს, ეძლევა ყველა უფლება საექიმო პრაქტიკისათვის და აგრეთვე უფლება იმსახუროს საექიმო და საადმინისტრაციო-საექიმო თანამდებობაზე.

შენიშვნა. ის ექიმი, ვისაც საექიმო პრაქტიკის უფლება აქვს, შეტანილ უნდა იქნეს იმ სიაში, რასაც ყოველწლიურად გამოაქვეყნებს საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი.

15. უკეთუ სამხედრო ექიმების რიცხვი საკმარისი არ არის ან უკეთუ სასამართლო მედიცინისათვის საჭიროება მოითხოვს, შეიძლება როგორც კერძო, ისე სამსახურში მყოფი ექიმი მიწვეულ იქნეს სათანადო ორგანოს მიერ, განსაკუთრებული გასამრჯელოს მიცემით, წითელ არმიაში გასაწვევ პირთა შესამოწმებლად და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზისათვის.

16. ექიმს უფლება აქვს გააკეთოს ყოველგვარი ოპერაცია და იხმაროს ჰიპნოზი, ნარკოზი, ანესტეზია, ვაკცინა, შრატი და სხვა სამედიცინო საშუალება, რის ხმარებაც ნებადართულია სათანადო წესისამებრ.

შენიშვნა. ჰიპნოზის ხმარება ნებადართული აქვს მარტო ექიმს სათანადო სახელმწიფო სამკურნალოსა და სამეცნიერო დაწესებულებაში, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში—ბინაზედაც, ისიც ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის სპეციალური წერილობითი ნებართვით, თანახმად ცალკე ინსტრუქციისა, რომელსაც გამოსცემს აღნიშნული კომისარიატი იუსტიციის სახ. კომისარიატთან შეთანხმებით.

17. ქირურგიული ოპერაციის გაკეთება ექიმს შეუძლიან მხოლოდ სახელმწიფო ან სათანადო ნებართვით დაარსებულ კერძო სამკურნალო დაწესებულე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საჭიროა სასწრაფო დაუყოვნებელი დახმარება ან უმარტივესი ოპერაცია, თანახმად განსაკუთრებული სიისა, რასაც გამოსცემს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი.

18. ქირურგიული ოპერაციის გაკეთება შეიძლება ავადმყოფის თანხმობით, ხოლო 16 წელზე უმცროს პირისა ან სულით ავადმყოფისათვის—მათი მშობლების ან მეურვეების თანხმობით.

შენიშვნა. სიცოცხლისა ან მნიშვნელოვანი ორგანოს გადასარჩენად საჭირო ოპერაცია ექიმს შეუძლია გააკეთოს სხვა ექიმთან კონსულტაციის შემდეგ ავადმყოფის მშობლების ან მეურვის დაუკითხავადაც, უკეთუ ამ უკანასკნელთა შეკითხვამ შეიძლება გამოიწვიოს დაგვიანების რისკი, აგრეთვე ავადმყოფის თანხმობის გარეშეც, როდესაც იგი გონებამიხდილია.

უკეთუ თვით კონსულტაციაც იწვევს დაგვიანების რისკს, ექიმს შეუძლია მარტო თითონ გადაჭრას ოპერაციის საკითხი. ყოველი ასეთი შემთხვევა ექიმმა უნდა აცნობოს ჯანმრთელობის განყოფილებას არა უგვიანეს 24 საათისა.

19. ექიმს უფლება აქვს გასცეს მოწმობა იმ ავადმყოფობის ჯანმრთელობის შესახებ, რომელსაც იგი მკურნალობდა, და აგრეთვე დაბადებისა და სიკვდილის შესახებ, ამა დადგენილების მე-8 მუხლში აღნიშნული განსაკუთრებული ინსტრუქციის თანახმად.

20. კბილის ექიმის წოდებისა და კბილის წამლობის უფლება აქვს:

ა) იმ პირს, ვისაც დაუსრულებია კბილის საექიმო სასწავლებელი და მიუღია კბილის ექიმის წოდების მოწმობა;

ბ) იმ კბილის ექიმს, რომელსაც დაუსრულებია საზღვარ-გარედ კბილის საექიმო სკოლა და სათანადო გამოცდები ჩაუბარებია საქართველოს და ს. ს. რ. კ-ის ერთ-ერთ უნივერსიტეტში.

21. კბილის ექიმს უფლება აქვს გამოსწეროს რეცეპტი აფთიაქიდან წამლების მისაღებად კბილის მკურნალობის პრაქტიკისათვის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებული სპეციალური სიის მიხედვით.

22. კბილის ექიმს შეუძლიან იხმაროს თავისი სპეციალობის დარგში ადგილობრივი ანესტეზია ყველა მეცნიერული მეთოდით.

შენიშვნა. საერთო ნარკოზის ხმარება კბილის ექიმს შეუძლიან მხოლოდ ექიმის მონაწილეობით.

23. კბილის ექიმს უფლება აქვს, ამა დადგენილების მე-8 მუხლის თანახმად, გასცეს თავის სპეციალობის ფარგლებში მოწმობა მის მიერ ნამკურნალევი ავადმყოფის წამლობისა და ჯანმრთელობის შესახებ.

24. ექიმის თანაშემწის (ფერშალის) წოდების უფლება აქვს ყველა იმ პირს, რომელმაც დაამთავრა ნორმალური ტიპის საფერშლო სკოლა ან საფერშლო-სამეანო სკოლა და მიიღო სათანადო მოწმობა, აგრეთვე იმასაც, ვინც ჩააბარა სპეციალური გამოცდები სამედიცინო ტეხნიკუმში ან ჯანმრთელობის ორგანოებში და მიიღო ფერშლის ან ექიმის თანაშემწის წოდების მოწმობა.

25. ექიმის თანაშემწეს (ფერშალს), რომელმაც მიიღო ეს წოდება 24 მუხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გათვალისწინებული წესით და გაიარა არა ნაკლებ, ვიდრე ხუთის წლის პრაქ-
ტიკული მუშაობის სტაჟი ერთ-ერთ სახელმწიფო ან საზოგადოებრივ სტაციო-
ნალური ან საამბულატორო ტიპის სამკურნალო დაწესებულებაში, ჯანმრთე-
ლობის განყოფილების ნებართვით, უფლება აქვს:

ა) დაამზადოს უმარტივესი წამლები (საქართველოს ს. ს. რ. ჯანსახკომის
დამტკიცებულ სიის თანახმად) იმ სამკურნალო დაწესებულებაში, სადაც შტა-
ტით ფარმაცევტის თანამდებობა არ არის გათვალისწინებული, ხოლო ძლიერად
მომქმედი წამლები—ექიმის ხელმძღვანელობით;

ბ) იხმაროს სამედიცინო პრაქტიკაში მიღებული გამაფრთხილებელი და
სამკურნალო შრატები და ვაქცინა, თანახმად ჯანმრთელობის სახალხო კომისა-
რიატის მიერ ექიმების თანაშემწეთათვის (ფერშლებისათვის) დაწესებული
სიისა;

გ) გაუკეთოს უმარტივესი ოპერაციები, ჯანმრთელობის სახალხო კომისა-
რიატის მიერ დაწესებული სპეციალური სიის მიხედვით;

დ) გაუკეთოს ავადმყოფს საერთო ნარკოზი, ოპერაციის გამკეთებელი ექი-
მის მინდობილობით;

ე) გასცეს თავისი ხელმოწერით მოწმობები: 1) მის მიერ შესრულებული
გასაფრთხილებელი აცრისა და ვაქცინაციის შესახებ, 2) იმ პირის ავადმყო-
ფობის შესახებ, რომელსაც იგი სწამლობს, 3) სიკვდილის შესახებ იმ შემთხვე-
ვაში, როდესაც აშკარად საჭირო არ არის გვამის სასამართლო-საექიმო გაკ-
ვეთა;

ვ) განაგოს, ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის სპეციალური ნებართვით,
საექიმო პუნქტი დ ამბულატორია განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც საე-
ქიმო პუნქტზე ექიმი არ არის ან ექიმების რიცხვი ნაკლებია;

თ) „ვ“ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში გამოუწეროს აფთიაქი-
დან ავადმყოფს, რომელსაც იგი სწამლობს, ყველა საჭირო საშუალება იმ რაო-
დენობით, რაც არ აღემატება მაქსიმალურ დოზას, ჯანმრთელობის სახ. კომი-
სარიატის მიერ შემუშავებული სიის მიხედვით.

26. ბებია-ქალის წოდება მიენიჭება იმ პირს, რომელმაც დაასრულა სა-
მეანო სკოლა ან სამეანო ტეხნიკუმი და მიიღო სათანადო მოწმობა.

27. ბებია-ქალს უფლება აქვს გაუწიოს მშობიარეს დახმარება ნორმალური
მშობიარობის დროს. ხოლო უკეთუ მშობიარობა გართულდა ან ნორმალური არ
არის, ბებია-ქალი მოვალეა მოიწვიოს ექიმი ან გაგზავნოს მშობიარე ქალი სამ-
შობიარო დაწესებულებაში.

28. ბებია-ქალს უფლება აქვს თავის ბინაზე ორსულს მხოლოდ რჩევა-
დარიგება მისცეს.

შენიშვნა. ბებია-ქალს ეკრძალება თავის ბინაზე ორსული სამშობია-
როდ მიიღოს.

29. ბებია-ქალს უფლება აქვს მშობიარეს ოპერატიული დახმარება აღმოუ-
ჩინოს, თანახმად ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის მიერ გამოცემულ წესისა,
მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როდესაც საფრთხეშია ჩავარდნილი მშობიარის სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოცხლე და შეუძლებელია ექიმის მოწვევა ან სამშობიარო დაწესებულებაში მშობიარის გაგზავნა.

შენიშვნა. ასეთ ოპერატიულ დახმარებათა სიას აწესებს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი.

30. ბებია-ქალს უფლება აქვს გამოიწეროს აფთიაქიდან, ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის სპეციალური სიის თანახმად, ყველა ის წამალი, რაც კი მას დასჭირდება მშობიარესათვის დახმარების გაწევის დროს.

31. ბებია-ქალს უფლება აქვს გასცეს მოწმობა მის მიერ აქმული ბავშვის დაბადების შესახებ, უკეთუ მშობიაროობას ექიმი არ დასწრებია.

32. ფარმაცევტის წოდების და მუშაობის უფლება აქვს:

ა) იმ პირს, ვინც დაამთავრა უმაღლესი საფარმაცევტო სასწავლებელი ან უმაღლესი სასწავლებლის ფიზიკო-მათემატიკური ფაკულტეტის ქიმიო-ფარმაცევტული განყოფილება;

ბ) იმ პირს, ვინც დაამთავრა საშუალო ფარმაცევტული სკოლა (ტეხნიკუმი);

გ) იმ პირს, ვისაც აქვს მოწმობა ფარმაციის მაგისტრისა, პროვიზორისა და საფთიაქო თანაშემწის წოდებისა;

დ) ვისაც მიუღია საფარმაცევტო განათლება უცხოეთის სასწავლებელში და ჩაუბარებია დაწესებული გამოცდები ს. ს. რ. კ.-ის ერთ-ერთ უნივერსიტეტსა ან საფარმაცევტო სკოლაში.

შენიშვნა. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატს, განათლების სახ. კომისარიატთან შეთანხმებით, შეუძლიან გაანთავისუფლოს გამოცდებისაგან ის ფარმაცევტი, ვისაც, თუმცა საზღვარგარეთ მიუღია საფარმაცევტო განათლება, მაგრამ დაუმსახურებია სახელი თავისი სამეცნიერო ნაშრომებით ან პრაქტიკული მუშაობით.

33. ყველა იმ პირს, ვისაც ფარმაცევტის წოდება აქვს, შეუძლიან აწარმოოს ყოველგვარი კვალიფიციური მუშაობა თავის სპეციალობის დარგში აფთიაქებსა, სააფთიაქო საწყობებსა, ანალიტიურ, ბაქტერიოლოგიურ, ორგანო-თერაპევტიულ და სასამართლო-ქიმიურ ლაბორატორიებში და აგრეთვე საფარმაციო მრეწველობის ქარხნებში.

34. სამედიცინო დის წოდებისა და სათანადო პროფესიონალური მუშაობის უფლება აქვს:

ა) იმ პირს, ვისაც დაუმთავრებია სამედიცინო ტეხნიკუმი ან სამედიცინო დების (მოწყალე დების) კურსები და მიუღია სამედიცინო დის წოდების მოწმობა;

ბ) იმ პირს, ვისაც დაუმთავრებია მოწყალების-დების სკოლა ორ წელზე არა ნაკლები კურსით და ყოფილი საექიმო ინსპექტორის სამმართველოს მიერ დამტკიცებული პროგრამით.

35. იმ სამედიცინო დას, ვისაც მიუღია წოდება ამა დადგენილების მე-34 მუხლში გათვალისწინებული წესით და გაუვლია არა ნაკლებ, ვიდრე ხუთი წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი ერთ-ერთ სახელმწიფო ან საზოგადოებრივ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტაციონალურ ან საამბულატორიო ტიპის სამკურნალო დაწესებულებაში, ჯანმრთელობის განყოფილების ნებართვით უფლება აქვს:

ა) დაამზადოს უმარტივესი წამლები (ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული სიის მიხედვით) იმ სამკურნალო დაწესებულებაში, სადაც შტატით ფარმაცევტი არ არის გათვალისწინებული, ხოლო ძლიერად მომქმედი წამლები—ექიმის ხელმძღვანელობით;

ბ) იხმაროს საექიმო პრაქტიკაში მიღებული გამაფრთხილებელი და სამკურნალო შრატები და ვაქცინები, ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის მიერ ექიმების თანაშემწეთათვის (ფერშლებისათვის) დაწესებული სიის თანახმად;

გ) გაუკეთოს ავადმყოფს საერთო ნარკოზი ოპერაციის გამკეთებელ ექიმის მინდობილობით;

დ) გასცეს თავისი ხელისმოწერით მოწმობა მის მიერ შესრულებული გამაფრთხილებელი აცრისა და ვაქცინაციის შესახებ.

36. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს დაევალება, დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმებით, გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **შ. მათიკაშვილი.**

1927 წ. მაისის 20.

ტფილისი—სასახლე.

---

80. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 51 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სამხედრო ტრიბუნალებისა და სამხედრო პროკურატურის დებულების სამოქმედოდ შემოღების გამო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის მიერ 1924 წ. მარტის 10 თარიღით და 77 №-რით გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად და სამხედრო ტრიბუნალებისა და სამხედრო პროკურატურის დებულების (ს. ს. რ. კ. კან. კრებ. 1926 წ. 57 №-რი, მუხ. 413) სამოქმედოდ შემოღების გამო, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 27 და 36 მუხ. შეიცვალოს შემდეგნაირად:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხ. 27. სამხედრო ტრიბუნალს ექვემდებარება ყველა საქმე:

ა) სამხედრო დანაშაულისა;

ბ) საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 59-62, 64, 65, 68-70, 72, 73, 76 მუხ., მე-100 მუხ. მე-2 ნაწ., 112, 114-117 მუხ., 187 მუხ. „ე“, „ვ“ და „ზ“ პუნ. და 187[1] მუხ. გათვალისწინებული სახელმწიფო, სამსახურებრივი და ქონებრივი დანაშაულისა, უკეთუ იგი ამასთანავე ჩადენილია სამხედრო მსახურის მიერ და საფრთხეს წარმოადგენს მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სიმტკიცისა და ძლიერებისათვის ანდა სამხედრო დისციპლინისათვის;

გ) სხვა ისეთი დანაშაულისა, რაც საფრთხეს წარმოადგენს მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სიმტკიცისა და ძლიერებისათვის და რის განხილვაც, სსრკ-სა და მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლო წყობილების საფუძველთა 21 მუხლის 1-ლი შენიშვნის წესით, გადაეცემა სამხედრო ტრიბუნალს;

დ) ყველა დანაშაულისა, ვინც უნდა ჩაიდინოს იგი ისეთ ადგილას, სადაც, რაიმე განსაკუთრებული გარემოების გამო, საერთო სასამართლო არ მოქმედობს.

შენიშვნა. დივიზიის სამხედრო ტრიბუნალს ექვემდებარება ყოველი ისეთი დანაშაულის საქმე, რასაც ჩაიდენს სამხედრო მსახური არა-ცალკე ბატალიონის უფროსამდე და თვით ეს უფროსიც, აგრეთვე მდგომარეობით მისი თანასწორი პირი.

კორპუსის სამხედრო ტრიბუნალს ექვემდებარება ყველა ისეთი დანაშაულის საქმე, რასაც ჩაიდენს სამხედრო მსახური ლეგიონის უფროსამდე და თვით ეს უფროსიც, აგრეთვე მდგომარეობით მისი თანასწორი პირი.

ოლქის (ფრონტის, ცალკე არმიის, ფლოტის) სამხედრო ტრიბუნალს ექვემდებარება ყველა სამხედრო მსახურის მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმე, გარდა იმ პირთა საქმეებისა, რომელნიც სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოსათვის გამოცემული (სსრკ კან. კრ. 1924 წ. მე-2 №-რი, მუხ. 25) განაწესის 56 მუხლის თანახმად, პერსონალურად ექვემდებარებიან ამ სასამართლოს სამხედრო კოლეგიას.

მუხ. 36 უკეთუ ამა თუ იმ საქმეზე რამდენიმე ბრალდებულია (დანაშაულის ამსრულებელი), რომელთაგან ერთი ან რამდენიმე მათგანი სამხედრო ტრიბუნალს ექვემდებარება, დანარჩენები-კი — საერთო სასამართლოს, ყველა ბრალდებულის საქმეს, თუ მისი გაყოფა შეუძლებელია, განიხილავს სამხედრო ტრიბუნალი.

უკეთუ ამა თუ იმ საქმით ბრალდება აღძრულია რამდენიმე დანაშაულის გამო, რომელთაგან ერთი ან რამდენიმე საერთო სასამართლოს ექვემდებარება, ხოლო დანარჩენი-კი — სამხედრო ტრიბუნალს, ამ დანაშაულთა საქმეს, თუ ეს დანაშაულებანი დაკავშირებულ არიან ერთი მოქმედებით ან ერთი წადილით, განიხილავს სამხედრო ტრიბუნალი. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველი დანაშაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის საქმე ცალკე უნდა იქნეს განხილული საერთო სასამართლოსა და სამხედრო ტრიბუნალში, ქვემდებარეობისამებრ.

II.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 1-ლ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის შენიშვნა და ამ შენიშვნის დანართი:

ა.

მუხ. 1. **შენიშვნა.** სისხლის სამართლის საქმის წარმოების დროს სამხედრო-სასამართლო დაწესებულება იხელმძღვანელებს ამა კოდექსს, იმ გამონაკლისით, რაც დადგენილ იქნება საერთო-საკავშირო კანონმდებლობის წესით (იხ. დანართი).

ბ.

1-ლი მუხლის შენიშვნის დანართი.

საქმის წარმოება სამხედრო სასამართლო დაწესებულებაში.

(სამხედრო ტრიბუნალებისა და სამხედრო პროკურატურის დებულება (სსრკ კან. კრ. 1926 წ. 57 №-რი, მუხ. 413) 19—37 მუხ.).

1. საქმის წარმოების დროს სამხედრო ტრიბუნალი, გამომძიებელი და მოკვლევის ორგანო იხელმძღვანელებენ:

ა) სსრკ კანონმდებლობას და

ბ) იმ მოკავშირე რესპუბლიკის კანონებს (მათ შორის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებს), რომლის ტერიტორიაზედაც ჩადენილია განსახილველი დანაშაული (სამხედრო ტრიბ- დებ. მე-19 მუხ.).

2. მუშათა და გლეხთა წითელ არმიაში მოკვლევის ორგანოდ ისეთი დანაშაულის საქმეზე, რასაც ჩაიდენს სამხედრო მსახური, ცალკე სამხედრო ნაწილის ან მუშათა და გლეხთა წითელი არმიის დაწესებულების სამყოფელ ადგილას, ჩაითვლება ამ სამხედრო ნაწილის უფროსი და კომისარი ანდა ამ დაწესებულების მეთაური და კომისარი.

შენიშვნა. ისეთი დანაშაულის საქმეზე, რასაც ჩაიდენს სამხედრო მსახური სამხედრო ნაწილის და დაწესებულების სამყოფელი ადგილის გარეშე, მოკვლევას მოახდენს მოკვლევის საერთო ორგანო (სამხ. ტრიბ. დებ. მე-20 მუხ.).

3. მოკვლევა ერთ თვეზე მეტ ხანს არ უნდა გაგრძელდეს. სამხედრო ტრიბუნალის ქვემდებარე საქმეზე მთლად მოკვლევის მასალა წარეგზავნება იმ სამხედრო გამომძიებელს, რომლის უბანშიაც განწესებულია მოკვლევის ორგანო:

ა) საქმის მოსასპობად, უკეთუ ეს საქმე არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს ან თუ დამნაშავე ვერ იქნა აღმოჩენილი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) სამართალში მისაცემად, უკეთუ ის საქმე, რომლის წინასწარი გამოძიება სავალდებულო არ არის, შეიცავს დანაშაულის ნიშნებს;

გ) წინასწარ გამოსაძიებლად, უკეთუ ამ საქმის წინასწარი გამოძიება სავალდებულოა.

შენიშვნა. ამა მუხლის „გ" პუნქტ. გათვალისწინებულ შემთხვევაში მოკვლევის ორგანო შეასრულებს მხოლოდ ისეთ მოქმედებას, რაც საჭიროა საქმის დაუყოვნებლივ გამოსარკვევად და რაც ხელს შეუშლის ეჭვმიტანილს თავი აარიდოს გამოძიებასა და სამართალს ან მოსპოს და დამალოს დანაშაულის კვალი; ამის შემდეგ მოკვლევის ორგანო აღარ დაუცდის ერთი თვის ვადის გასვლას და დაუყოვნებლივ გადასცემს გამომძიებელს მთლად მოკვლევის მასალას (სამხ. ტრიბ. დებ. 21 მუხ.).

4. ისეთი დანაშაულის მოკვლევის წარსამართავად, რასაც სამხედრო მსახური ჩაიდენს და რაც არ ექვემდებარება სამხედრო ტრიბუნალს, მუშათა და გლეხთა წითელი არმიის მოკვლევის ორგანო. იხელმძღვანელებს სათანადო მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს (სამხ. ტრიბ. დებ. 22 მუხ.).

5. იმ პირის დაპატიმრება, რომელიც მუშათა და გლეხთა წითელი არმიის შედგენილობას არ ეკუთვნის, აგრეთვე გაჩხრეკა და ამორკვევა მოხდება მოკვლევის საერთო ორგანოს მეშვეობით (სამ. ტრიბ. დებ. 23 მუხ.).

6. ყოველი ცალკე საქმის მოკვლევას, რასაც კი მე-2 მუხლში აღნიშნული ორგანო მოახდენს, ზედამხედველობას გაუწევს იმ უბნის სამხედრო გამომძიებელი, სადაც ეს ორგანოა (სამხ. ტრიბ. დებ. 24 მუხ.).

7. ისეთი დანაშაულის საქმის წინასწარი გამოძიება, რაც გათვალისწინებულია სამხედრო დანაშაულთა დებულების (სსრკ კან. კრ. 1924 წ. 24 №, მუხ. 207 და ამავე კრებ. 1926 წ. მე-15 №, მუხ. 106; საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდ. დანართი) 2—4, 6—8, 10, 11, 14, 17 და 19 მუხ. სავალდებულო არ არის და გამომძიებელს შეუძლიან მოახდინოს იგი ყოველ ცალკე შემთხვევაში ან საკუთარი თაოსნობით, ან პროკურორის წინადადებით, ან და სამხედრო ტრიბუნალის დადგენილებით. სამხ. ტრიბ. ქვემდებარე ყველა სხვა საქმის წინასწარი გამოძიება სავალდებულოა (სამხ. ტრიბ. დებ. 25 მუხ.).

8. სამხედრო გამომძიებელი, მიიღებს რა ამა დებულების მე-3 მუხ. წესით მოკვლევის მასალას, ან მოსპობს საქმეს ან დაადგენს ბრალდებული სამართალში მიეცეს, ან დააბრუნებს საქმეს დამატებითი მოკვლევისათვის ან და შეუდგება წინასწარ გამოძიებას (სამხ. ტრიბ. დებ. 26 მუხ.).

9. სამხედრო გამომძიებელი წინასწარ გამოძიებას მოახდენს სამხედრო პროკურატურის ზედამხედველობით.

სამხედრო გამომძიებელისათვის სავალდებულოა ყველა წინადადება იმ სამხედრო პროკურორისა, რომელიც მეთვალყურეობას უწევს გამოძიებას. უკეთუ სამხედრო გამომძიებელი არ დაეთანხმა სამხედრო პროკურორის წინადადებას, მას უფლება აქვს, სათანადო მოკავშირე რესპუბლიკის სისხლ. სამარლის საპრ. კოდ. გათვალისწინებულ შემთხვევაში აღძრული სადაო საკითხი, წინადადების

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესრულების შეუჩერებლივ, გადასაწყვეტად სათანადო სამხედრო ტრიბუნალს გადასცეს (სამხ. ტრიბ. დებ. 27 მუხ.).

10. სამხედრო ტრიბუნალი მოქმედობს იმ საპროცესო წესების მიხედვით, რაც მოკავშირე რესპუბლიკის სისხლ. სამ. საპრ. კოდ. მიღებულია საგუბერნიო (და მისი თანაბარი) სასამართლოსათვის.

სამხ. ტრიბუნალი თავის განაჩენს გამოაცხადებს სსრკ სახელით (სამხ. ტრიბ. დებ. 28 მუხ.).

11. ყველა სამხედრო ტრიბუნალისათვის საკასაციო ინსტანცია არის სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგია (სამხ. ტრიბ. დებ. მე-20 მუხ.).

12. საკასაციო წესით განსაჩივრება იმ ადგილის სამხედრო ტრიბუნალის განაჩენისა სადაც სამხედრო წესი სამხედრო მოქმედებათა ასპარეზზეა გამოცხადებული, არ შეიძლება (დებულება „რევოლიუციონური წესრიგის დაცვის არაჩვეულებრივ ღონისძიებათა შესახებ“, მუხ. 16 და 17—სსრკ კან. კრ. 1925 წ. 25 №, მუხ. 167) და ასეთი განაჩენის გაუქმება და შეცვლა შეიძლება მარტოოდენ ზედამხედველობის წესით (მუხ. 15) (სამხ. ტრიბ. დებ. 30 მუხ.).

13. იმ ადგილის სამხედრო ტრიბუნალს, სადაც სამხედრო წესი სამხედრო მოქმედებათა ასპარეზის გარეშეა გამოცხადებული (დებულება „რევოლიუციონური წესრიგის დაცვის არაჩვეულებრივი ღონისძიების შესახებ“. მუხ. მე-9-14), უკეთუ იგი ვისმე დახვრეტას გადაუწყვეტს და მის განაჩენზე მსჯავრდადებული საკასაციო საჩივარს შეიტანს, უფლება აქვს 24 საათის განმავლობაში ამ განაჩენის გამოტანიდან შუამდგომლობა აღძრას რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს, იქ კი, სადაც ასეთი საბჭო არ არის,—ჯარის სათანადო შენაერთის სარდლის წინაშე, რათა საკასაციო საჩივარს მსვლელობა არ მიეცეს, ხოლო განაჩენი აღსრულებული იქნეს.

სამხედო ტრიბუნალის წარდგენა იმის შესახებ, რომ საკასაციო საჩივარს მსვლეობა არ მიეცეს, არ ანთავისუფლებს მას წინა მუხლში აღნიშნულ წესის შესრულებისაგან, და, უკეთუ მიღებულია სათანადო განკარგულება განაჩენის შეჩერების შესახებ, ასეთ განკარგულებას ძალა აქვს იმისდა მიუხედავათ, გადაწყვეტილია თუ არა საკითხი საჩივრისათვის მსვლელობის მიუცემლობის შესახებ (სამხ. ტრიბ. დებ. 21 მუხ.).

14. სამხედრო ტრიბუნალის განმწესრიგებელი სხდომის დადგენილებაზე შეტანილ კერძო საჩივარსა და პროტესტს განიხილავს იმავე სამხედრო ტრიბუნალის განმწესრიგებელი სხდომა, ხოლო სხვა შედგენილობით.

საჩივარსა და პროტესტს საქმის მოსპობის შესახებ გამოტანილ დადგენილებაზე განიხილავს სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგია (სამხ. ტრიბ. დებ. 32 მუხ.).

15. სსრკ-ის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესა და პროკურორს, სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარესა და სსრკ-ის უზენაესი სასამართლოს პროკურორის უფროს თანაშემწეს სამხედრო კოლეგიისა და სამხედრო პროკურატურის საქმეთათვის—უფლება აქვთ გამოით-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოვონ ყველა სამხედრო ტრიბუნალიდან სასამართლო საქმე განსახილველად ზედამხედველობის წესით; მათვე ეკუთვნის აგრეთვე უფლება შეაჩერონ განაჩენი ასეთ საქმეზე.

ყოველი სამხედრო ტრიბუნალი, მიიღებს-რა მოთხოვნას საქმის გაგზავნის შესახებ, დაუყოვნებლივ წარგზავნის საქმეს და შეაჩერებს მის წარმოებას. ისეთი საქმის გაგზავნა, რომელსაც ტრიბუნალი უკვე იხილავს სამსჯავრო სხდომაზე, შეიძლება მხოლოდ განაჩენის გამოტანის შემდეგ.

იმ ადგილას, სადაც სამხედრო წესი გამოცხადებულია სამხედრო მოქმედებათა ასპარეზზე, ისეთი განაჩენის შეჩერება, რომლითაც დახვრეტაა გადაწყვეტილი, შეუძლიან აგრეთვე ფრონტისა, ფლოტისა ან არმიის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს, ხოლო სადაც ასეთი არ არსებობს—სარდალს, იმ პირობით კი, რომ რევოლიუციონურმა სამხედრო საბჭომ ან სარდალმა განაჩენის შეჩერება აცნობოს არა უგვიანეს 24 საათისა ერთ-ერთს ამა მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილ პირთაგანს, რომელზედაც დამოკიდებულია შემდგომი განკარგულება ამ საქმეზე.

ამის გარდა, სსრკ-ის უზენაესი სასამართლოს პროკურორსა და მის უფროს თანაშემწეს სამხედრო კოლეგიის და სამხედრო პროკურატურის საქმეთათვის—უფლება აქვთ, გამოითხოვონ ისეთი საქმე, რაც ჯერ სამხედრო ტრიბუნალისათვის არ გადაუციათ და წინასწარი გამოძიების სტადიაშია ან და რასაც სამხედრო პროკურატურა იხილავს (სამხ. ტრიბ. დებ. 33 მუხ.).

16. სსრკ-ის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა ან ამავე სასამართლოს სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარის მიერ სამხედრო ტრიბუნალიდან გამოთხოვილი საქმე გადაეცემა დასკვნისათვის სსრკ-ის უზენაესი სასამარლოს პროკურორის უფროს თანაშემწეს სამხედრო კოლეგიისა და სამხედრო პროკურატურის საქმეთათვის. უკეთუ უკანასკნელი ასეთი საქმის წარმოებაში არ აღმოაჩენს არსებითი დარღვევას, ამ გარემოებას აცნობებს სსრკ-ის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ან ამავე სასამართლოს სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარეს, იმისდა მიხედვით, თუ რომელმა მათგანმა გამოითხოვა საქმე. იმ შემთხვევაში, თუ უკანასკნელნი დაეთანხმებიან აღნიშნული პროკურორის თანაშემწის დასკვნას, წარმოება ზედამხედველობის წესით მოისპობა, ხოლო საქმე დაუყოვნებლივ სათანადო ტრიბუნალს დაებრუნება.

უკეთუ სსრკ-ის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ან ამა სასამართლოს სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარე, რომელმაც საქმე გამოითხოვა, არ დაეთანხმება სსრკ-ის უზენაესი სასამართლოს უფროსი თანაშემწის დასკვნას, აგრეთვე ყველა ისეთ შემთხვევაში, როდესაც ეს უკანასკნელი აღმოაჩენს საქმის წარმოებაში რაიმე არსებითი დარღვევას, საქმე სათანადო დასკვნითურთ წარეგზავნება სსრკ-რის უზენაეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიას (სამხ. ტრიბ. დებ. 34 მუხ.).

17. უკეთუ ის საქმე, რომელიც გამოითხოვა სსრკ-რის უზენაესი სასამართლოს პროკურორმა ან მისმა უფროსმა თანაშემწემ სამხედრო კოლეგიისა და სამხედრო პროკურატურის საქმეთათვის, წინასწარი გემოძიების სტადიაში ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას სამხედრო პროკურატურა იხილავს, იგი დაბრუნებულ უნდა იქნეს კუთვნილებისამებრ—სათანადო დირექტივებით.

ხოლო, უკეთუ გამოთხოვილი საქმე უკვე შეტანილი იყო სამხედრო ტრიბუნალში, და უკეთუ რაიმე არსებითი დარღვევა იქნა აღმოჩენილი, იგი წარიმართება სსრკ-ის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიაში ს. ს. რ. კ-ის უზენაესი სასამართლოს პროკურორის უფროსი თანაშემწის დასკვნითურთ. იმ შემთხვევაში კი, თუ ასეთი დარღვევა არ იქნა აღმოჩენილი, წარმოება ზედამხედველობის წესით მოისპობა და საქმე დაებრუნება სამხედრო ტრიბუნალს (სამხ. ტრიბ. დებ. 35 მუხ.).

18. ყოველი ისეთი განაჩენის გამოტანას, რომლითაც დახვრეტა იქნება გადაწყვეტილი, სამხედრო ტრიბუნალი, იმისდა მიუხედავად, შეტანილია თუ არა საკასაციო საჩივარი ან პროტესტი, დაუყოვნებლივ აცნობებს ტელეგრაფით სსრკ-რის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარეს და სსრკ-ის უზენაესი სასამართლოს პროკურორის უფროსი თანაშემწეს სამხედრო კოლეგიისა და სამხედრო პროკურატურის საქმეთათვის; ხოლო იმ ადგილას, სადაც სამხედრო წესი მოქმედებათა ასპარეზზეა გამოცხადებული, აცნობებს აგრეთვე სათანადო რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს ან სარდალს (მუხ. 15); ამასთანავე ამ ცნობაში აღნიშნავს განაჩენის გამოტანის რიცხვსა, თვესა და საათს, ბრალდების მოკლე შინაარს, სისხლის სამართლის კანონის იმ მუხლებს, რომლებითაც დამნაშავეს მსჯავრი დაედო, აღნიშნავს აგრეთვე მსჯავდადებულის გვარსა, სახელს, მამის სახელს, რა კლასს ეკუთვნის იგი და რა თანამდებობა ეჭირა, მის წლოვანებას და განათლებას (სამხ. ტრიბ. დებ. 36 მუხ.).

19. ისეთი გახაჩენის აღსრულება, რომლითაც დახვრეტაა გადაწყვეტილი, შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, უკეთუ 72 საათ ისგანმავლობაში იმ მომენტიდან, რაც ტელეგრაფით ცნობა ჩაბარდა წინა მუხლში დასახელებულ პირთ, მიღებულ არ იქნება განკარგულება განაჩენის შეჩერების შესახებ:

ა) ან რომელიმე იმ პირისა და ორგანოსაგან, რომელიც დასახელებულია ამა დებულების მე-5 მუხლში;

ბ) ან სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი -კომიტეტის პრეზიდიუმისაგან;

გ) ან იმ მოკავშირე რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისაგან, რომლის ტერიტორიაზედაც გამოტანილია აღნიშნული განაჩენი; ამასთან ეს პრეზიდიუმი მოახდენს-რა განკარგულებას განაჩენის შეჩერების შესახებ, ამავე დროს აღძრავს საკითხთს სსრკ-რის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე მსჯავრდადებულის შეწყალების შესახებ.

უკეთუ ამა თუ იმ საქმეზე შეტანილია საკასაციო საჩივარი ან პროტესტი, განაჩენი, ყოველ შემთხვევაში, არ იქნება აღსრულებული, ვიდრე სსრკ-ის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგია არ განიხილავს ამ საჩივარს ან პროტესტს (სამხ. ტრიბ. დებ. 37 მუხ.).

III.

ამოიშალოს:

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან: 95 მუხ. შენიშვნა, 108 მუხ. შენიშვნა, 381, 389 მუხ., 400 მუხ. შენიშვნა, 407 მუხ. 426 მუხ. 1 შენიშვნა, 427 მუხ. შენიშვნა და 428 მუხ. „დ“ პუნქტი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

433, 436, 438, 440, 441 და 444 მუხლებში სიტყვები "და" „ტრიბუნალი" და „ან ტრიბუნალი";

32. მუხლიდან სიტყვები „ან ოლქის სასამართლოდან სამხედრო ტრიბუნალში ან და სამხედრო ტრიბუნალიდან ოლქის სასამართლოში" და

393. მუხლიდან უკანასკნელი ფრაზა, სიტყვებიდან—„ხოლო უკეთუ საქმე განხილულ იქნა სამხედრო ტრიბუნალის მიერ"—ბოლომდე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **შ. მათიკაშვილი**

1927 წ. მაისის 20.

ტფილისი—სასახლე.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

81. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს

საბაჟო დაწესებულების მიერ დადებული ჯარიმის გადაუხდელობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

საბაჟო წესდების 275 მუხლის თანახმად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ის ჯარიმა, რასაც საბაჟო დაწესებულება, საბაჟო წესდების 262 მუხ. წესით (კან. კრ. 1926 წ. 59 №-რი, მუხ. 443), დაადებს უბრალო კონტრაბანდისათვის, შეტანილ უნდა იქნეს საბაჟოს ან ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროში ორი კვირის ვადაზე იმ დღიდან, რაც დაჯარიმებულს გამოეცხადა, რომ საბაჟოს დადგენილება გადასახდელის დადების შესახებ ძალაშია შესული, ხოლო უკეთუ ეს გადაწყვეტილება განსაჩივრებულ იქნა არსებული წესისამებრ—იმ დღიდან, რაც გამოცხადებულ იქნება მთავარი საბაჟოს სამმართველოს ამიერკავკასიის განყოფილების ასეთი დადგენილება.

2. უკეთუ 1-ლ მუხ. განსაზღვრული ორი კვირის ვადის განმავლობაში შეტანილ არ იქნა საბაჟო დაწესებულების მიერ დადებული ჯარიმა, დამნაშავეს შეიძლება გადეწყვიტოს იძულებითი მუშაობა ერთ თვემდე იმ წესით, რაც განსაზღვრულია სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის გადასახდელის დასადებად.

3. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მ. დ. **ა. გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1927 წ. მაისის 3.

ტფილისი—სასახლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

82. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

სისხლის სამართლის საქმეთა მაძიებელ მილიციის თანამშრომელთათვის ბოროტ-ქოქმედებით მოპოებული ქონების ადმოჩენისათვის ჯილდოს დაწესების თაობაზე 1923 წ. მაისის 15-ს თარიღით და 95 №-ით გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომელთათვის ბოროტ-მოქმედებით მოპოებული ქონების აღმოჩენისათვის ჯილდოს დაწესების თაობაზე 1923 წ. მაისის 15-ს თარიღით და 95 №-ით გამოცემული დადგენილება („მოამბე" 1923 წ. № 52) გაუქმებული იქნეს.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისათრა საბჭოს
თავმჯდომარის მოვ. დრ. აღმასრულებელი **გ. მგალობლიშვილი.**
საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველ **ალ. სალარიძე.**

1927 წ. მაისის 6
ტფილისი—სასახლე

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 133 №-ში 1927 წ. ივნისის 14.

---

83. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

იმ წესების დამტკიცების შესახებ, რომლითაც მილიციის ორგანოები მოვალენი არიან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში დახმარება გაუწიონ საგადასახადო გარე-ზედამხედველობის ორგანოთ ვაჭრობისა დი რეწაობის სახელმწიფო სარეწავი გადასახადით დაბეგვრის შემოწმების დროს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახელხო კომისართა საბჭო ადგენს: დამტკიცებულ იქნეს შემდეგი წესები მილიციის ორგანოების მოვალეობის შესახებ დახმარება გაუწიონ საქართველოს ს. ს. რ-ში საგადასახადო გარეზედამხედველობის ორგანოთ ვაჭრობისა და რეწაობის სახელმწიფო სარეწავი გადასახადით დაბეგვრის შემოწმების დროს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯულელი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1927 წ. მაისის 9
ტფილისი—სასახლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

წ ე ს ე ბ ი

მილიციის ორგანოების მოვალეობის შესახებ დახმარება გაუწიონ საქართველოს ს. ს. რ-ში საგადასახადო გარე-ზედამხედველობის ორგანოთ ვაჭრობისა და რეწაობის სახელმწიფო გადასახადით დაბეგვრის შემოწმების დროს.

მილიციის ორგანოები მოვალენი არიან დახმარება გაუწიონ საქართველოს ს. ს. რ-ში საგადასახადო გარე-ზედამხედველობის ორგანოთ ვაჭრობისა და რეწაობის სახელმწიფო სარეწავი გადასახადით დაბეგვრის შემოწმების დროს (საგადასახადო ზედამხედველობის შესახებ 1926 წ. ოქტომბრის 1-ს თარიღით გამოცემული დებულების მე-14 და 16 მუხ. და სახელმწიფო სარეწავი გადასახადის შესახებ 1926 წ. სექტემბრის 24-ს თარიღით გამოცემული დებულების მე-11 და 49 მუხ.), რისთვისაც უნდა იხელმძღვანელონ შემდეგი წესები:

1. უკეთუ საგადასახადო გარე-ზედამხედველობის ორგანო მოსთხოვს მილიციის უფროსს ან სათანადო აღმასკომს მილიციის აგენტების მივლინებას საგადასახადო გარე-ზედამხველობის ორგანოს განკარგულებაში ვაჭრობისა და რეწაობის სახელმწიფო სარეწავი გადასახადით დაბეგვრის შემოწმების დროს დახმარების აღმოსაჩენად, ასეთი თხოვნა დაუყოვნებლივ უნდა იქნეს შესრულებული.

2. მილიციის აგენტი, რომელსაც დავალებული ექნება საგადასახადო გარე-ზედამხედველობის ორგანოსათვის დახმარების აღმოჩენა, მოვალეა დაესწროს ამ ორგანოს მიერ ოქმის შედგენას უპატენტო ან არა-სათანადო პატენტით ვაჭრობისა და რეწაობის შესახებ და მოაწეროს ხელი ასეთ ოქმს, როგორც მოწმემ, უკეთუ საწარმოს პატრონი ან მის მაგიერი პირი ხელის მოწერაზე უარს განაცხადებს.

3. მილიციის აგენტი, მიიღებს თუ არა წერილობითი მოთხოვნას პირდაპირ გადასახადთა ინსპექტორისა და ან მისი თანაშემწისაგან, სარეწავი გადასახადის დებულების მე-11 მუხ. წესისამებრ, საწარმოს დახურვის შესახებ (მოთხოვნაში გარკვევით უნდა იყოს აღნიშნული, რა ფასისა ან რა ხარისხის პატენტის უქონლობისათვის იხურება საწარმო), დახურავს საწარმოს შესასვლელი კარების დაბეჭდვით ან სხვა ისეთი საშუალებით, რაც ადგილობრივი პირობების მიხედვით უფრო მიზანშეწონილი იქნება რეწაობის ან ვაჭრობის შესაწყვეტად. საწარმოს დახურვის შესახებ მილიციის აგენტი შეადგენს გენსაკუთრებულ ოქმს, რაც დაუყოვნებლივ პირდაპირ გადასახადთა სათანადო ინსპექტორს გაეგზავნება.

4. როდესაც საწარმოს პატრონი წარუდგენს მილიციას მის მიერ აღებულ პატენტს, მილიცია გამოარკვევს—შეესაბამება იგი თავისი ფასით და ხარისხით იმ პატენტს, რაც პირდაპირ გადასახადთა ინსპექტორის ან მისი თანაშემწის წერილობით მოთხოვნაშია აღნიშნული, და, უკეთუ შეესაბამება, დაუყოვნებლივ ახსნის დახურულ საწარმოს ბეჭედს ან გააუქმებს ვაჭრობაზე და სარეწავზე დადებულ აკრძალვას. საწარმოს გახსნას მილიცია დაუყოვნებლივ აცნობებს პირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაპირ გადასახადთა სათანადო ინსპექტორს წარდგენილი პატენტის ხარისხისა, გაცემის დროისა და ნომრის აღნიშვნით.

5. უკეთუ პირდაპირი გადასახადის ინსპექტორი ან მისი თანაშემწე აღმოაჩენს უპატენტოდ ფეხზედ ვაჭრობას ან ვაჭრობას ისეთ სადგომში, რომლის დაბეჭდაც ტეხნიკურად მოუხერხებელია, აგრეთვე უკეთუ აღმოჩენილ იქნება უპატენტოდ საქონლის შესყიდვა სხვისთვის მისაყიდად და ამის გამო საჭირო იქნება გასაყიდი ან დამზადებული საქონლის შეკვრა სარეწავი გადასახადის დებულების მე-12 მუხლისამებრ, მილიციის აგენტი მოვალეა დაესწროს საქონლის აღწერას და შეკვრას, აგრეთვე საჯარო ვაჭრობით გაყიდვასაც, რასაც მოახდენს პირდაპირ გადასახადთა ინსპექტორი ან მისი თანაშემწე, გადასახადთა აკრეფის დებულების სათანადო მუხლების მიხედვით, უკეთუ სამი დღის განმავლობაში დღიდან საქონლის დაკავებისა, მოთხოვნილი პატენტი წარდგენილი არ იქნება.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 111 №-ში 1927 წ. მაისის 10

ტფილისი-სასახლე.

---

84. დადგენილება ს. კ. ს.

(ტირიფონის სარწყავი არხის გაყვანის სამუშაოთა მდგომარეობის გამოსარკვევად კომისიის დანიშვნის შესახებ.

1. ტირიფონის სარწყავი არხის გაყვანის სამუშაოთა მდგომარეობის გამოსარკვევად დაინიშნოს კომისია ამხ. შადუნცის თავმჯდომარეობით და საქართველოს ს. ს. რ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსის ამხ. ბახტაძისა და გორის სამაზრო აღმასკომის წარმომადგენელის ამხ. კალმახელიძის შემადგენლობით.

2. დაევალოს ზემოაღნიშნულ კომისიას ორი კვირის განმავლობაში გამოარკვიოს როგორც შესრულებული სამუშაოების, ისე არხის დასამთავრებლად საჭირო სამუშაოთა რაოდენობა, აგრეთვე რაოდენობა ამ მიზნისათვის საჭირო თანხებისა და ხსენებული არხის ფაქტიური გახსნის ვადა.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯულელი.**

საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1927 წ. მაისის 12.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 106 №-ში 1927 წ. მაისის 13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

85. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

საბუხჰალტერო და ანგარიშწარმოების კურსების დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:
დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება საბუხჰალტერო და ანგარიშწარმოების კურსების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1927 წ. მაისის 31.
ტფილისი—სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა.

საბუხჰალტერო და ანგარიშწარმოების კურსების შესახებ.

1. საბუხჰალტერო კურსების მიზანია: ა) მოამზადოს სათანადო სპეციალური ცოდნით აღჭურვილი მომუშავენი საბანკო, კომუნალური, საკოოპერაციო, საქარხნო-საფაბრიკო, სასოფლო-მეურნეობის და სხვ. ანგარიშწარმოების დარგში; ბ) აამაღლოს ზემოაღნიშნულ დარგში მომუშავე ბუხჰალტრებისა და მოანგარიშეების კვალიფიკაცია.

2. საბუხჰალტერო და ანგარიშთწარმოების კურსები განათლების სახალხო კომისარიატის პროფესიონალური განათლების მთავარი სამმართველოს უშუალო გამგებლობაშია.

3. საბუხჰალტერო კურსების მოწყობა შეიძლება მხოლოდ განათლების სახალხო კომისარიატის პროფესიონალური განათლების მთავარი სამმართველოს ნებართვით.

4. კურსები სამეურნეო ანგარიშზეა.

5. კურსების დამაარსებელთა სახსარით შეძენილი ქონება, კურსების დახურვის შემდეგ დარჩება დამაარსებელთ, ხოლო ის ქონება, რაც შეძენილი იქნება კურსების შემოსავლით, გადავა განათლების სახალხო კომისარიატის განკარგულებაში.

6. კურსებზე მსმენელად მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი ასაკით 17 წლისაზე არა უმცროსი, ვისაც აქვს საერთო საშუალო განათლება შვიდწლიანი შრომის სკოლის პროგრამის ფარგლებში.

შენიშვნა. ეს მოთხოვნა არ გავრცელდება იმ მუშა-მოსამსახურეზე, რომელიც უკვე მსახურობს ანგარიშწარმოების დარგში და მოისურვებს კურსებზე შესვლას თავისი ცოდნის გასაძლიერებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. კურსებზე მისაღებ მსმენელთა რიცხვი განისაზღვრება იმ ვარაუდით, რომ თეორიული მეცადინეობის დროს ჯგუფებში იყოს არა უმეტეს 60 კაცისა, ხოლო პრაქტიკულ მეცადინეობის დროს —არა უმეტეს 25 კაცისა.

8. კურსის დამთავრებისას მსმენელებს დაენიშნებათ საბოლოო გამოცდები, პროფესიონალური განათლების მთავარი სამმართველოსი და საბჭოთა და ვაჭრობის დარგში მომუშავების კავშირის წარმომადგენელთა თანდასწრებით. გამოცდებზე შეიძლება აგრეთვე მიწვეულ იქნენ სხვადასხვა დაწესებულებათა წარმომადგენლებიც.

9. უკეთუ საბოლოო გამოცდებზე მინაშვები მსმენელი დამაკმაყოფილებლად ჩააბარებს ამ გამოცდებს ზემოაღნიშნულ კომისიაში, იგი მიიღებს სათანადო მოწმობას პროფესიონალური განათლების მთავარი სამმართველოს მიერ დამტკიცებული ფორმით.

შენიშვნა. მოწმობას აუცილებლად უნდა ხელი მოაწეროს განათლების სახ. კომისარიატის პროფესიონალური განათლების მთავარი სამმართველოს წარმომადგენელმა.

10. კურსებს აქვს თავისი ბეჭედი და შტამპი სათანადო წარწერით.

11. სწავლა კურსებზე ფასიანია. სწავლის ფულის რაოდენობა და მისი გადახდის წესს განსაზღვრავს განათლების სახ. კომისარიატის პროფესიონალური განათლების მთავარი სამმართველო.

შენიშვნა. კურსების ხარჯთაღრიცხვა უნდა დამტკიცებულ იქნეს პროფესიონალური განათლების მთავარი სამართველოს მიერ.

12. პროფესიონალური განათლების მთავარ სამართველოს უფლება აქვს მიავლინოს კურსებზე მსმენელები როგორც უფასოდ, ისე ფასდაკლებით; ამასთანავე უფასო მსმენელთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს მსმენელთა საერთო რიცხვის 20 პროცენტს.

13. როგორც პედაგოგიური და ტეხნიკური პერსონალის შესანახი ხარჯი, ისე ყოველი სხვა ხარჯი სასწავლო და სამეურნეო საჭიროებისათვის გასტუმრებულ უნდა იქნეს სწავლის ფულით. უკეთუ ყველა ხარჯის გასტუმრების შემდეგ კურსებს დარჩება. რაიმე თანხა, იგი უნდა გადაეცეს განათლების სახ. კომისარიატს პროფესიონალური განათლების საჭიროებისათვის.

14. კურსების მასწავლებელთა და ტეხნიკურ მომუშავეთა ხელფასი არ შეიძლება იმ განაკვეთზე ნაკლები იყოს, რაც განათლების მომუშაევთა კავშირის მიერ დაწესებულია ამ კურსების თანაბარი ტიპის სასწავლებლების მომუშავეთათვის.

15. კურსებზე სწავლების ვადას განსაზღვრავს განათლების სახ. კომისარიატის პროფესიონალური განათლების მთავარი სამართველო. ეს ვადა აღინიშნება მოწმობაში (მე-9 მუხ.).

16. კურსების გამგეს დაამტკიცებს განათლების სახ. კომისარიატის პროფესიონალური განათლების მთავარი სამმართველო.

შენიშვნა. კურსების გამგეს უნდა ჰქონდეს, ყოველ შემთხვევაში სპეციალური საშუალო განათლება და სამი წლის მასწავლებლობის სტაჟი სათანადო სპეც-სასწავლებელში.

17. გამგე არის პასუხისმგებელი კურსებზე სწავლების საქმის სათანადო დაყენებისათვის. ამის გარდა, მის მოვალეობას შეადგენს: 1) მასწავლებლების შერჩევა და მათი წარდგენა დასამტკიცებლად პროფესიონალურ განათლების მთავარ სამართველოსათვის, აგრეთვე შუამდგომლობის აღძვრა ამავე მთავარ სამმართველოს წინაშე მასწავლებლების მოხსნის შესახებ; 2) ტეხნიკურ მომუშავეთა სამსახურში მიღება და დაოხოვნა შრომის მომქმედ კანონთა თანახმად, 3) კურსების სასწავლო კოლეგიის თავმჯდომარეობა და 4) ანგარიშების წარდგენა განათლების სახ. კომისარიატის პროფესიონ. განათლების მთავარ სამართველოსთვის.

18. კურსებზე მოეწყობა სასწავლო კოლეგია, რომელშიაც შევლენ: კურსების გამგე (როგორც თავმჯდომარე), მისი მოადგილე (უკეთუ იგი იქნება), კურსების ლექტორები და მსმენელთა ერთი წარმომადგენელი.

სასწავლო კოლეგიის მოვალეობის საგანს შეადგენს: 1) საპროგრამო საკითხების გადაწყვეტა; 2) საბოლოო გამოცდების შედეგის განხილვა და კურსდამთავრებულთათვის სათანადო მოწმობების მიცემა.

შენიშვნა. იმ სხდომას, რომელიც განიხილავს კურსდამთავრებულთათვის მოწმობების მიცემის საკითხს, აუცილებლად უნდა დაესწრონენ პროფესიონ. განათლების მთავარი სამმართველოს და იმ ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც გამოცდებში მონაწილეობას იღებდნენ.

---

86. დადგენილება ს. კ. ს.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის გამომცემლობის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს;

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის გამომცემლობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგ. **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1927 წ. მაისის 31.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის გამომცემლობის შესახებ.

I. საერთო ნაწილი.

1. საბჭოთა მედიცინის პრინციპების ფართო მასაში გავრცელების და მშრომელთა შორის სანიტარული განათლებისა და ჯანმრთელობის დარგის ყველა ღონისძიებათა პოპულარიზაციისათვის, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის საერთო ხელმძღვანელობით, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სანიტარული განათლების სამმართველოსთან არსდება გამომცემლობა სახელწოდებით „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის გამომცემლობა".

2. პირველ მუხლში აღნიშნული მიზნების განსახორციელებლად გამომცემლობას უფლება აქვს: ა) შეამზადოს, გამოსცეს და გაავრცელოს მის განკარგულებაში გადასული გამოცემები „ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის მოამბე" და „საუნჯე" და გამოსცეს არაპერიოდული ბეჭდვითი ნაწარმოებნი ჯანმრთელობის საკითხების გამო (წიგნები, ბროშურები და სხვ.); ბ) შეიძინოს, გაასხვისოს და მიიღოს საკომისიოდ სხვა გამოცემები და მასალები; გ) მიიღოს შეკვეთა სხვადასხვა სახის სამედიცინო და სხვა ლიტერატურის გამოცემაზე; დ) აწარმოოს ვაჭრობა ბეჭდვითი ნაწარმოებისა და აგრეთვე ნიშნებისა, ემბლემებისა, სურათებისა, პლაკატებისა და საკანცელარიო და საწერი საგნებისა; ე) გახსნას საჭიროებისამებრ განყოფილებანი, იქონიოს სტამბა, მაღაზიები, საწყობები, კიოსკები და სხვ.

3. გამომცემლობა სახელმწიფო დაწესებულებაა, იმოქმედებს საკომერციო ანგარიშზე, ისარგებლებს იურიდიული პირის ყველა უფლებას და პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით. სახელმწიფო ხაზინა გამომცემლობის ვალებისთვის პასუხს აგებს მხოლოდ იმ დოტაციის ფარგლებში, რაც გამომცემლობას განსაზღვრული წესით მიეცემა.

4. გამომცემლობას აქვს ბეჭედი თავისი სახელწოდების გამოხატულებით.

5. გამომცემლობა იმყოფება ტფილისში.

II. გამომცემლობის სახსარი.

6. გამომცემლობის სახსარს შეადგენს: ის თანხები და მასალები, რასაც მას ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი გადასცემს, მისი ოპერაციებით შემოსული თანხები და აგრეთვე დეფიციტის დასაფარავად ხაზინიდან განსაზღვრული წესისამებრ სახელმწიფო ბიუჯეტით მიღებული თანხა (დოტაცია).

III. გამომცემლობის საგამგეო და სარედაქციო ორგანოები.

7. გამომცემლობის საქმეთა ხელმძღვანელობა და გამგებლობა ეკუთვნის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს, სარედაქციო კოლეგიას და გამომცემლობის გამგეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი მე-7 მუხლში აღნიშნულ ფუნქციებს განახორციელებს სასანიტარო-საეპიდემიო განყოფილების მეშვეობით.

9. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის გამგებლობის საგანს შეადგენს: ა) გამომცემლობის გამგისა და სარედაქციო და სარევიზიო კომისიის წევრების დანიშვნა; ბ) გამომცემლობის შტატის დამტკიცება; გ) გამომცემლობის გეგმებისა, ხარჯთაღრიცხვებისა და ანგარიშების დამტკიცება; დ) ამა დებულების მუხლებისა და გამომცემლობის თანხების (მუხ. მე-6) რაოდენობის შეცვლის საკითხის განხილვა და არსებული წესით სათანადო პროექტებისა და დადგენილებების წარდგენა; ე) გამომცემლობის ლიკვიდაციის საკითხის გადაწყვეტა; ვ) გამომცემლობის გამგის მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გაწევა.

10. სარედაქციო კოლეგია დაინიშნება ერთი წლით და შესდგება 3 წევრისაგან.

11. სარედაქციო კოლეგიის გამგებლობის საგანს შეადგენს: ა) ამა თუ იმ გამოცემის ან საჟურნალო წერილის გაშვების საკითხის გადაწყვეტა; ბ) დასაბეჭდი მასალისათვის რედაქციის გაკეთება.

12. გამომცემლობის გამგის გამგებლობის საგანს შეადგენს: მთლად გამომცემლობის ოპერაციების ხელმძღვანელობა, როგორიცაა: მუშა-მოსამსახურეთა მიღება და დათხოვნა, სალაროს მოწყობა, საქმის წარმოება, ანგარიშების წარმოება, ხარჯთაღრიცხვებისა და მოქმედების გეგმის შედგენა; ქონების ყიდვა-გაყიდვა ნაღდად და ნისიად, თამასუქებისა და სხვა ვალდებულების გაცემა, მიღება და განაღდება; ყველა კანონიერი საკრედიტო და სადასაზღვეო და სხვ. ოპერაციების წარმოება, სასამართლოში სარჩელის აღძვრა და პასუხისგება განსაკუთრებული რწმუნებულობის წარუდგენლად და რწმუნებულის მეშვეობითაც, რისთვისაც დაცული უნდა იქნეს კანონით განსაზღვრული წესები.

13. გამგის ყველა პრინციპიალური და უაღრესი მნიშვნელობის განკარგულება ჩაიწერება განკარგულებათა ჟურნალში გამგის ხელის მოწერით; გამომცემლობის მიწერ-მოწერა სწარმოებს გამგის ხელის მოწერით.

14. გამომცემლობის საქმეთა რევიზიისათვის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი დანიშნავს სარევიზიო კომისიას, რომელიც შესდგება ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სამი თანამშრომლისაგან.

IV. ანგარიშწარმოება, ანგარიშგება და მოგების განაწილება.

15. გამომცემლობის საოპერაციო წელიწადი ითვლება ოქტომბრის 1-დან სექტემბრის 30-მდე.

16. არა უგვიანეს ერთი თვისა მორიგი საოპერაციო წლის დაწყებამდე გამომცელობა წარუდგენს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს დასამტკიცებლად შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვის პროექტს.

17. სამი თვის განმავლობაში საოპერაციო წლის გასვლისას გამომცემლობა წარუდგენს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს დასამტკიცებლად გასული წლის ანგარიშსა, ბალანსსა და მოგებისა და ზარალის ანგარიშის სარევიზიო კომისიის დასკვნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

18. გამომცემლობის წმინდა მოგება (ე. ი. განსხვავება საერთო შემოსავალს და გასავლის შორის) განაწილდება შემდეგნაირად: სარეზერვო კაპიტალში გადაირიცხება არა ნაკლები 20 %-ისა, გამომცემლობის მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდში—10 %, ხოლო დანარჩენი ნაწილი დარჩება გამომცემლობას და მოხმარდება გამოცემათა გაფართოებას და გაიაფებას.

V. ლიკვიდაციის წესი.

19. გამომცემლობის ლიკვიდაცია მოხდება ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის დადგენილებით შემდეგ შემთხვევაში:

ა) გამომცემლობის არაშემძლედ გამოცხადების გამო;

ბ) უკეთუ გამომცემლობის შემდგომი არსებობა მიზანშეწონილად არ იქნა ცნობილი.

20. ლიკვიდაციას მოახდენს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ დანიშნული განსაკუთრებული სალიკვიდაციო კომისია.

სალიკვიდაციო კომისია შესდგება სამი წევრისაგან, რომელთა შორის ერთი თავმჯდომარედ დაინიშნება.

შენიშვნა. სალიკვიდაციო კომისიაში შედის ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი.

21. სალიკვიდაციო კომისია რეალიზაციას გაუკეთებს გამომცემლობის ქონებას, გადაახდევინებს გამომცემლობის დებიტორებს ვალებს ვალდებულებათა მიხედვით და დააკმაყოფილებს გამომცემლობის კრედიტორებს.

22. გამომცემლობის ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება გადადის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის განკარგულებაში და ითვლება ფინანსთა სახალხო კომისარიატის აღნუსხვაზე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 147 №-ში 1927 წ. ივლისის 1.

ს. ს. მ. უ. პოლიგრაფიული ტრერსტის მე-3 სტამბა.

შეკვეთა № 2082—7949. მთავლიტი № 1370. ტირ. 1500.